პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНКСОЙ ССР

ხუთშაბათი, 28 მარტი, 1946 წ. № 64 (7537). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

მეტი სტახანოვური ჰექტარები!—მოწინავე (1-ლი გვერდი).

ბრძანებულებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში (1-ლი გვერდი).

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში (1-ლი გვერდი).

საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში (მე-2 გვერდი).

ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება 1946 წელს

მეტი ქვანახშირის მოპოვებისათვის—ტყიბულელ მეშახტეთა მიმართვა ტყვარჩელელი მეშახტეებისადმი (მე-3 გვერდი).

ნავთლუღელ რკინიგზელთა ვალდებულებანი (მე-3 გვერდი).

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ამბები—დეპეშები (1-ლი და მე-4 გვერდი).

მეტი სტახანოვური ჰექტარები!

საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები აღფრთოვანებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მიერ მიღებულ კანონებს. ისინი გამოსთქვამენ თავიანთ მისწრაფებას—ყველაფერი გააკეთონ მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. მშრომელთა მზარდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობა თავის გამოსახულებას პოულობს საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც სწრაფად ჩაღდება.

მეოთხე სტალინურ ხუთწლედში კოლმეურნე გლეხობის, სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე დიდი ამოცანებია დასახული. უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს **მოსავლიანობის ყოველმხრივ ამაღლება და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საერთო მოსავლის გადიდება.** ეს მოითხოვს კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაცია, ფართოდ დავნერგოთ მოწინავე აგროტექნიკა.

მოსავლის ბედი საკოლმეურნეო ბრიგადებსა და რგოლებში სწყდება. შრომის ბრიგადულმა და რგოლურმა ორგანიზაციამ საგრძნობი გაამართლა თავისი თავი. ახლა საჭიროა უფრო განვამტკიცოთ ბრიგადები და რგოლები. ეს კი შეუძლებელია ინდივიდუალური და ჯგუფური სანარდო სისტემის გაუქმებლად. მოწინავე კოლმეურნეობათა მუშაობის გამოცდილებამ ცხადყო, რომ მაღალი მოსავლის მოყვანის საქმეში დიდ როლს ასრულებენ სტახანოვური ჰექტარები. სტახანოვური ჰექტარი ნიშნავს, რომ განსაზღვრული ნაკვეთი მთელი წლის განმავლობაში მიჩნეულია ცალკეული კოლმეურნეებისათვის. ხაშურის, გორისა და კასპის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში შარშან შაქრის ჭარხლის ნაკვეთები რგოლების შიგნით ცალკეულ კოლმეურნეებზე იყო მიჩნეული ნათესების მოვლისა და მოსავლის აღების მთელ პერიოდში. ამ ღონისძიებამ საუკეთესო შედეგი მოგვცა. ასე, მაგალითად, ხაშურის რაიონში გასულ წელს სტახანოვური ნაკვეთი აღებული ჰქონდა 691 კოლმეურნეს. თვითეულმა კოლმეურნემ ჰექტარზე საშუალოდ 400-500 ცენტნერი ჭარხალი მიიღო. ზუგდიდისა და გალის რაიონებში 1945 წელს სიმინდის ნათესები მიჩნეული ჰქონდათ ცალკეულ კოლმეურნეებს. კოლმეურნეებმა სტახანოვურ ნაკვეთებზე სიმინდის სარეკორდო მოსავალი მოიყვანეს. გალის რაიონის სოფელ ოქტომბრის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ჩოქოლი ქვაჩახიამ ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 670,2 ფუთი სიმინდი, სოფელ რეფო-შუშელთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა ტერენტი აბუხბაიამ — 864 ფუთი, სოფელ ბარღების სტალინის სახელობის კოლმეურნეობის შეათე ბრიგადის ხელმძღვანელმა ძ. რიგვავამ—907,8 ფუთი. ცოტა რომია მაგალითი, როცა კოლმეურნეებისათვის ნაკვეთების ინდივიდუალურად მიჩნევამ დიდად გაზარდა ბოსტნეულისა და კარტოფილის კულტურების მოსავლიანობა.

რა უპირატესობა აქვს ნაკვეთების ინდივიდუალურ მიჩნევას ცალკეული კოლმეურნეებისათვის?

უპირველეს ყოვლისა ის, რომ შრომის ორგანიზაციის ასეთი ფორმა ბოლოს ღებს გაუპირობებების მიწის დამუშავებასა და ნათესების მოვლა-პატრონობაში. იზრდება კოლმეურნის პასუხისმგებლობა საწარმოო დავალებათა არა მარტო რაოდენობრივად, არამედ ხარისხობრივად და დროულად შესრულებისათვის. თუ სასოფლო-სამეურნეო სამუშაო არაკეთილხარისხოვნადაა შესრულებული, ნათლად სჩანს, ვისი ბრალია ეს. ამიტომ კოლმეურნე უფრო მონდომებით მუშაობს.

მეორე უპირატესობა ის არის, რომ ნათესების ინდივიდუალურად მიჩნევისას ცალკეულ ჩამორჩენილ კოლმეურნეს აღეკვეთება შესაძლებლობა თავი აარიდოს შრომას ან მხოლოდ ფორმალურად იყოს კოლმეურნეობაში. მაშასადამე, ეს ხელს უწყობს შრომის დისციპლინის განმტკიცებას.

მესამე უპირატესობა ის არის, რომ თვითეულ კოლმეურნეს ფართო ასპარეზი ეძლევა თავისი უნარისა და გამოცდილების მთლიანად გამოყენებისათვის, და, მაშასადამე, ეს დიდად უწყობს ხელს შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, ამასთანავე კოლმეურნეთა შორის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებას.

მეოთხე უპირატესობა ის არის, რომ ნაკვეთების ინდივიდუალური მიჩენით ადგილი აღარ ექნება გათანაბრებას შრომის ანაზღაურებაში, იქნება ყველა პირობა კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების კანონის განუხრელად განხორციელებისათვის.

და, ბოლოს, ეს წესი აინტერესებს კოლმეურნეებს დადგენილ ვადებში შეასრულონ ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო, საშუალებას იძლევა გამოვლინებულ იქნას ცალკეული კოლმეურნის ინიციატივა მოსავლიანობის გადიდებისათვის ყველა აგროტექნიკური ღონისძიებათა გაბატარებლად და წარმოადგენს საკოლმეურნეო მინდვრებზე აგრონომიული მეცნიერების უახლეს მიღწევათა და მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვის აუცილებელ პირობას.

სტახანოვური ჰექტარები წარმატებას მხოლოდ იქ მოიტანს, სადაც **სწორად არის დაყენებული შრომის აღრიცხვა, ყოველდღიური კონტროლი შესრულებული სამუშაოსადმი.** ცალკეული ნაკვეთები კოლმეურნეებს მექანიკურად როდი უნდა მივუჩინოთ. აუცილებელია გონივრულად გავატაროთ ეს ღონისძიება. საჭიროა წინასწარ განვსაზღვროთ, თუ კოლმეურნეთა რა ნაწილი შეიძლება გამოყენებულ იქნას ცალკეულ ნაკვეთებზე სამუშაოდ.

სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდება ერთ-ერთი გადაუდებელი საქმეა. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ მიღებული კანონი სახავს ამოცანას: „გადიდდეს შრომის ნაყოფიერება კოლმეურნეობებში შრომის სწორი ორგანიზაციის, საკოლმეურნეო შემოსავლის განაწილებაში შრომადღის როლის განმტკიცებისა და ამაღლების საფუძველზე; განმტკიცდეს კოლმეურნეობებში ბრიგადები და რგოლები ინდივიდუალური და ჯგუფური სანარდო სისტემის გამოყენებით; ფართოდ გატარდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლებისათვის, პირუტყვის სულადობის გამოზრდისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლებისათვის კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურება“.

საჭიროა ყოველმხრივ დავეხმაროთ კოლმეურნეობებს სტახანოვური ჰექტარების ზრდაში. მიზანშეწონილია არა მარტო შაქრის ჭარხლის, ჩაის, სიმინდის, არამედ კარტოფილის, ბოსტნეულისა და სხვა კულტურების ნათესები მივუჩინოთ ცალკეულ კოლმეურნეებს. ამ ღონისძიების მიზანი ის არის, რომ მთლიანად აღმოვფხვრათ გაუპიროვნება საკოლმეურნეო შრომაში.

ღღეს ჩვენ ვაქვეყნებთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას სოფლის მეურნეობის განვითარების 1946 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ. ამ დადგენილებაში მოცემულია მიმდინარე წელს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის კონკრეტული საბრძოლო პროგრამა. მისი შესრულება ჩვენს უმნიშვნელოვანეს სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანას შეადგენს.

საქართველოს კოლმეურნე გლეხობა სერიოზული სამუშაოს წინაშე ამყოფება. კიდევ რამდენიმე ღღე და საგაზაფხულო თესვა მასობრივად გაჩაღდება. ამოცანა ის არის, რომ მთლიანად, გადაჭარბებით და მოკლე ვადებში შევასრულოთ თესვის სახელმწიფო გეგმა, მაღალნაყოფიერად ვიმუშაოთ და ამით საფუძველი ჩავუყაროთ სოფლის მეურნეობის დარგში დიადი სტალინური პროგრამის ღირსეულად შესრულებას.

მანქანები სოფლის მეურნეობისათვის

სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ქარხნები მიმდინარე წელს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობისათვის დაამზადებენ 50 მილიონი მანეთით მეტ მანქანებს, ვიდრე „გლავსელმაშის“ საწარმოები 1940 წელს უშვებდნენ.

ამჟამად მთელ რიგ ქარხნებში მთავრდება მზადება ახალი მანქანების გამოსაშვებად. ქარხანა, რომლის დირექტორია ამხ. სმირნოვი, გამოუშვებს ელექტრომაგნიტურ მარცვალსაწმენდ მანქანებს. „რიაზსელმაში“ ეწყობა კარტოფილის სარგავი მანქანების გამოსაშვებად.

მიმდინარე წელს სამინისტროს ქარხნები მანქანათა ბევრ ახალ საცდელ ნიმუშებს გამოუშვებენ. ოდესის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის ქარხანა, რომლის აღდგენა სწარმოებს, გამოუშვებს 6 საცდელ ნიადაგდამმუშავებელ მანქანას. „ვისხომი“ და კამენკის ქარხანა გამოუშვებენ სათესი მანქანებისა და სხვადასხვა ჰოწყობილობის ექვს ექსპერიმენტულ ნიმუშს. ხარკოვის ქარხანა „სერპ ი მოლტი“ ამზადებს მთლიანი ლითონის სალეწი მანქანის „მკ-110“-ის საცდელ ნიმუშს. (საკდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის მიწათმოქმედების სამინისტროს ორ სამინისტროდ — სსრ კავშირის მიწათმოქმედების სამინისტროდ და სსრ კავშირის მეცხოველეობის სამინისტროდ გაყოფის შესახებ

1. გაიყოს სსრ კავშირის მიწათმოქმედების სამინისტრო ორ საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ:

სსრ კავშირის მიწათმოქმედების სამინისტროდ;

სსრ კავშირის მეცხოველეობის სამინისტროდ.

2. ცნობილ იქნას საჭიროდ მეცხოველეობის სამინისტროს შექმნა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში.

3. გადაეცეს სსრ კავშირის მიწათმოქმედების სამინისტროს მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობები და სსრ კავშირის მეცხოველეობის სამინისტროს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც იყვნენ სსრ კავშირის მარცვლეულისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ყოფილი სახალხო კომისარიატის გამგებლობაში.

4. გადაეცეს სსრ კავშირის მიწათმოქმედების სამინისტროს და სსრ კავშირის მეცხოველეობის სამინისტროს საწარმოები და ორგანიზაციები, თანახმად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სიისა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1946 წლის 26 მარტი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ა. ი. კოზლოვის სსრ კავშირის მეცხოველეობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. ალექსი ივანეს-ძე **კოზლოვი** სსრ კავშირის მეცხოველეობის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1946 წლის 26 მარტი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის განმავლობაში საბჭოთა მედიცინის მიერ მიღებული გამოცდილების მეცნიერული დამუშავებისა და განზოგადების შესახებ

დიდი სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა მედიცინის მიერ დაგროვებული გამოცდილების ღრმა შესწავლისა და განზოგადების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა:

1. დაევალოთ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მთავარ სამხედრო-სამედიცინო სამმართველოს მოაწყონ მეცნიერული დამუშავება მასალებისა, რომლებიც ასახავენ საბჭოთა ექიმების ომის დროის გამოცდილებას, და გამოსცენ 1948-1950 წლებში მრავალტომიანი ნაშრომი—„საბჭოთა მედიცინის გამოცდილება 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში“.

2. დაკმაყოფილდეს გეგმა ნაშრომის — „საბჭოთა მედიცინის გამოცდილება 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში“ — გამოცემისა, რომელიც შესდგება 4 ნაწილისაგან: ქირურგია — 15 განყოფილება, თერაპია — 11 განყოფილება, ეპიდემიოლოგია და ჰიგიენა — 4 განყოფილება და ნატურალური ტრავმის პათოლოგია — ერთი განყოფილება. გეგმაში გათვალისწინებულ იქნას მეცნიერული დამუშავება მასალებისა, რომლებსაც უდიდეი მნიშვნელობა აქვთ თეორიული და პრაქტიკული მედიცინის შემდგომი განვითარებისათვის.

3. დაევალოთ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მთავარ სამედიცინო სამმართველოს მასალების დამუშავებასა და ომის დროინდელი გამოცდილების განზოგადებაში ჩაბან გამოჩენილი მეცნიერი სპეციალისტები და რიგითი ექიმები, რომელნიც უშუალო მონაწილეობას იღებდნენ ჯარების ჯანმრთელობის დაცვასა და წითელი არმიის დაჯილდ და ავადმყოფ მებრძოლთა მკურნალობაში როგორც ფრონტზე, ისე ზურგში.

4. დაჯილდოს და ავადმყოფთა მკურნალობის, აგრეთვე ჯარებში ეპიდემიურ დაავადებათა პროფილაქტიკის მასალების მეცნიერულ დამუშავებაში ექიმთა პირადი გამოცდილების გამოსაყენებლად დამტკიცდეს კონკურსის წარმოდგენილი პირობები და საკონკურსოდ გამოცხადებული თემების სია.

5. ნაშრომის განყოფილებებისა და თავების საუკეთესო ნამუშევრების, აგრეთვე ცალკეულ თემებზე იმ საუკეთესო ნამუშევრების დასაპრემიებლად, რომლებსაც ავტორები საკონკურსოდ წარმოადგენენ, დაწესდეს პრემიები:

ა) განყოფილებათა რედაქტორ-შემდგენელთათვის — 11 პრემია, აქედან: სამი პირველი პრემია თითო 75 ათასი მანეთის, სამი მეორე პრემია თითო 50 ათასი მანეთის და ხუთი მესამე პრემია თითო 25 ათასი მანეთის ოდენობით;

ბ) განყოფილებათა თავების ავტორებისათვის — 60 პრემია, აქედან: 10 პირველი პრემია თითო 30 ათასი მანეთის, 20 მეორე პრემია თითო 20 ათასი მანეთის და 30 მესამე პრემია თითო 10 ათასი მანეთის ოდენობით;

გ) ცალკეული თემების ავტორთათვის 130 პრემია, აქედან: 10 პირველი პრემია თითო 15 ათასი მანეთის, 50 მეორე პრემია თითო 10 ათასი მანეთის და 70 მესამე პრემია თითო 5 ათასი მანეთის ოდენობით.

6. დაევალოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს:

ა) გადასდოს მასალების მეცნიერული დამუშავებისა და ნაშრომის გამოცემის მოსამზადებლად 7 მილიონი მანეთი;

ბ) გამოჰყოს საკონკურსო ნამუშევართა დაპრემიებისათვის 2.500 ათასი მანეთი.

7. გამოცემის მოსამზადებელი მუშაობისა და ნაშრომის რედაქტირების ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს სარედაქციო კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი გ. ა. მიტერევი, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მთავარი სამხედრო-სამედიცინო სამმართველოს უფროსი ე. ი. სმირნოვი; სამედიცინო სამსახურის გენერალები — აკადემიკოსები ნ. ნ. ანიჩკოვი, ნ. ნ. ბურდენკო, ლ. ა. ორბელი, სამედიცინო სამსახურის გენერალები სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები ს. ს. გირგოლავი, ი. ი. ჯანელიძე, ფ. გ. კროტკოვი, პ. ა. კუპრიანოვი, ვ. ნ. შამოვი, სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები ი. ნ. ვინოგრადოვი, ს. ნ. დავიდენკოვი, ი. ვ. დავიდოვსკი, სამედიცინო სამსახურის გენერალი — პროფესორი მ. ს. ვოვსი და მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე—პროფესორი ნ. ნ. პრიოროვი.

8. დაევალოს სარედაქციო კოლეგიას გამოაქვეყნოს გაზეთ „მედიცინსკი რაბოტნიკში“ ნაშრომის გამოცემის გეგმა, ნაშრომის თავებისა და განყოფილებათა დასაწერად წარდგენილი მოთხოვნები, კონკურსის პირობები და საკონკურსოდ გამოცხადებული თემების სია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. მ. შვერნიკს რწმუნების სიგელები გადასცა უნგრეთის საგანგებო დესპანმა და სრულუფლებიანმა მინისტრმა

27 მარტს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. მ. შვერნიკმა მიიღო უნგრეთის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი ბ-ნი დ. სეკფიუ, რომელმაც თავისი რწმუნების სიგელები გადასცა.

ბ-ნ დ. სეკფიუს ახლდნენ მისიის პირველი მდივნები ბ-ნები ფ. კემენი, ი. ხორვატი, მეორე მდივანი ბ-ნი ლ. ნისკაჩი და ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა ატაშე ბ-ნი გ. რადო, რომლებიც დესპანმა წარუდგინა ნ. მ. შვერნიკს.

რწმუნების სიგელების გადაცემას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. გ. დეკანოზოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბალკანეთის ქვეყნების განყოფილების გამგე ა. ა. ლავრიშევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ფ. ფ. მოლოჩკოვი.

რწმუნების სიგელების გადაცემის შემდეგ ნ. მ. შვერნიკს საუბარი ჰქონდა ბ-ნ დ. სეკფიუსთან. საუბარში მონაწილეობა მიიღო ვ. გ. დეკანოზოვმა.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოდ და აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოების აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებად გარდაქმნის შესახებ

„სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოდ და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებად გარდაქმნის შესახებ“ გამოცემული კანონის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. გარდაიქმნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოდ და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატები — საქართველოს სსრ სამინისტროებად. ამის შესაბამისად ამიერიდან საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ეწოდოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები და საქართველოს სსრ სახალხო კომისრებს — საქართველოს სსრ მინისტრები.

2. გარდაიქმნას აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოები აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებად და აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისარიატები — აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სამინისტროებად. ამის შესაბამისად ამიერიდან აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარეებს ეწოდოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარის მოადგილეებს—აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეების მოადგილეები და აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისრებს — აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ლტურუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ეგნატაშვილი

1946 წლის 27 მარტი. ქ. თბილისი.

რუსეთის სფსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმში

I.

„სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოდ და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებად გარდაქმნის შესახებ“ კანონის საფუძველზე რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა:

1. გარდაიქმნას რუსეთის სფსრ სახალხო კომისართა საბჭო რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოდ და რუსეთის სფსრ სახალხო კომისარიატები—რუსეთის სფსრ სამინისტროებად. ამის შესაბამისად ამიერიდან რუსეთის სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს — რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, რუსეთის სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებს — რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები და რუსეთის სფსრ სახალხო კომისრებს—რუსეთის სფსრ მინისტრები.

2. გარდაიქმნას რუსეთის სფს რესპუბლიკაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებად და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისარიატები—ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებად. ამის შესაბამისად ამიერიდან ეწოდოს ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარეებს —ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები, ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარეთა მოადგილეებს— ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეთა მოადგილეები და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისრებს — ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრები.

II.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ალექსი ნიკოლოზის-ძე **კოსიგინი** გაათავისუფლა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან იმის გამო, რომ იგი მუშაობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

* * *

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა ამხ. მიხეილ ივანეს-ძე **როდიონოვი.**

უკანასკნელი ცნობები

შორეული აღმოსავლეთის კომისიაში

ვაშინგტონი, 23 მარტი. (საკდესი). 20 მარტს შორეული აღმოსავლეთის კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა № 4 კომიტეტის მიერ „იაპონიაში არჩევნების შესახებ“ და № 3 კომიტეტის მიერ „იაპონიის ახალი კონსტიტუციის შესახებ“ შემუშავებული წინადადებანი.

„იაპონიაში არჩევნების შესახებ“ საკითხის განხილვისას შორეული აღმოსავლეთის კომისიამ შიში გამოსთქვა, შეუძლია თუ არა ა. წ. 10 აპრილს პარლამენტის არჩევნების ჩატარებას იაპონიის ახლანდელი პოლიტიკური ვითარების დროს უზრუნველჰყოს იაპონელი ხალხის ნებასურვილის სრული და თავისუფალი გამოხატვა. ამასთან კომისიამ მხედველობაში მიიღო ის, რომ იაპონიაში რეაქციული პარტიები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ მტკიცე პოზიციებს. მაშინ როდესაც დემოკრატიული ტენდენციების მომხრე პარტიებს ჯერ არ ჰქონიათ საკმაო დრო თავიანთი შეხედულებების გასავრცელებლად და არჩევნებისათვის მოსამზადებლად.

ამასთან დაკავშირებით კომისიამ გადასწყვიტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მეშვეობით შეეკითხოს მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდალს იაპონიაში გენერალ მაკარტურს, როგორია მისი აზრი ამ არჩევნების გადადების შესაძლებლობის შესახებ.

„იაპონიის კონსტიტუციის“ საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ შემდგომ ცვლილებებს შესაძლებლობა მისცა მასთან და მის პოლიტიკურ მრჩევლებთან მეგობრულ საუბარში გაეხაზებინათ აზრები ყველა პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ საკითხებზე, რომლებიც ორივე მეგობრულ და ძმურ სახელმწიფოს აინტერესებს. ამასთან მიღწეულ იქნა სრული ურთიერთგაგება. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, ვინაიდან იაპონიასა და ჩეხოსლოვაკიის ხალხების ურთიერთობა დაფუძნებულია ორდნელ ტრადიციასა და ღრმა გულწრფელობაზე, ავრეთვე ჩვენი ქვეყნების ბედ-იღბლის ერთიანობაზე, რამაც ისე ჯადოსნურად ახლინა თავი წიცნელ ომში. ახლა გაცვლა-გამოცვლისას ორივე სახელმწიფოს წარმომადგენლები შეთანხმდნენ, რომ ომში შეძენილი ერთობლივი გამოცდილებიდან გამომდინარე ხელშეკრულებით ისინი კვლავ განამტკიცებენ ტრადიციულ ურთიერთობას. ეს ხელშეკრულება გამომხატველი იქნება ორივე სახელმწიფოს ინტერესებისა და გარანტია იქნება გრძნობის ბრივ ყოველი საშიშროების წინააღმდეგ. ორივე სახელმწიფოს წარმომადგენლები შეთანხმდნენ, რომ შეუდგებიან ისეთი ხელშეკრულების შემუშავებას და მას მოღვაწეებს შესაძლებლობა მისცა მასთან და მის პოლიტიკურ მრჩევლებთან მეგობრულ საუბარში გაეხაზებინათ აზრები ყველა პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ საკითხებზე, რომლებიც ორივე მეგობრულ და ძმურ სახელმწიფოს აინტერესებს. ამასთან მიღწეულ იქნა სრული ურთიერთგაგება. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, ვინაიდან იაპონიასა და ჩეხოსლოვაკიის ხალხების ურთიერთობა დაფუძნებულია ორდნელ ტრადიციასა და ღრმა გულწრფელობაზე, ავრეთვე ჩვენი ქვეყნების ბედ-იღბლის ერთიანობაზე, რამაც ისე ჯადოსნურად ახლინა თავი წიცნელ ომში. ახლა გაცვლა-გამოცვლისას ორივე სახელმწიფოს წარმომადგენლები შეთანხმდნენ, რომ ომში შეძენილი ერთობლივი გამოცდილებიდან გამომდინარე ხელშეკრულებით ისინი კვლავ განამტკიცებენ ტრადიციულ ურთიერთობას. ეს ხელშეკრულება გამომხატველი იქნება ორივე სახელმწიფოს ინტერესებისა და გარანტია იქნება გრძნობის ბრივ ყოველი საშიშროების წინააღმდეგ. ორივე სახელმწიფოს წარმომადგენლები შეთანხმდნენ, რომ შეუდგებიან ისეთი ხელშეკრულების შემუშავებას და მას

კომუნიკე ჩეხოსლოვაკიაში მარშალ ტიტოს ყოფნასთან დაკავშირებით

პრაღა, 26 მარტი. (საკდესი). პრაღაში გამოქვეყნდა ოფიციალური კომუნიკე ჩეხოსლოვაკიაში იუგოსლავიის პრემიერ-მინისტრ მარშალ იოსიპ ბროზ-ტიტოს ყოფნის შესახებ.

ჩეხოსლოვაკიაში მარშალ ტიტოს ყოფნამ, — ნათქვამია კომუნიკეში,—ჩეხ და სლოვაკ ხალხს შესაძლებლობა მისცა გამოეხატათ ჭეშმარიტი მეგობრობისა და ძმობის გრძნობები, რომლითაც ისინი გამსჭვალული არიან იუგოსლავიის ხალხებისადმი. ამან ჩეხოსლოვაკიის ხალხებს შესაძლებლობა ჰიაცა გამოეხატათ თავიანთი მადლობა იუგოსლავიის ხალხებისადმი ომის პერიოდში ჰათი გმირული ბრძოლისათვის, დაედასტურებინათ ჰატივისცემა, რასაც ჩეხები და სლოვაკები გრძნობენ ახალი იუგოსლავიის შექმნისადმი, რომლის სახითაც ჰაზრეთ სლავების მისწრაფებად დემოკრატიისაკენ ესმოდა დიდ გაჭირვებასა და ჰნიშვნელობას მიაღწია წარსულ ბრძოლაში იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხები ერთად იბრძოდნენ. ჩვენ უდიდესი კეთილდღეობით, ლტაკეებთა და ოქუპაციის ვადევნებებით თვალს იუგოსლავიელი ხალხის გმირობას. მარშალ ტიტოს ჩამოსვლის ჩეხოსლოვაკიაში ჩეხოსლოვაკიის პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევენ. ჩეხოსლოვაკიის ხალხი ამ ვიზიტს ხედავს ახალი ეტაპის დასაწყისად ჩეხოსლოვაკიის ხალხებსა და იუგოსლავიის ხალხებს შორის ურთიერთობის განვითარებაში.

საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს საკითხი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა 1946 წლის გეგმის შესახებ და აღნიშნეს, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა, მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1945 წელს მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობაში, გადაჭეტებით შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე მარცვლეულის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ჩაის ფოთლის, შაქრის ჭარხლის, თამბაქოს, ყურძნის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების დარგში.

რესპუბლიკის ბევრმა რაიონმა მიიღო სასოფლო-სამეურნეო კულტურათა უხვი მოსავალი.

1945 წელს მოსავლიანობის მხრივ საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს წითელწყაროს, ლაგოდეხის, გორის, ხაშურის, კასპის, ამბროლაურის, მახარაძის, ბათუმის, ზუგდიდის, გალის, სამტრედიის, ლენინგორისა და თბილისის რაიონებმა.

ამასთან საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნეს, რომ სიღნაღის, ყვარლის, საგარეჯოს, გურჯაანის, ქარელის, აბაშის, ჩხარის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორისა და ზოგიერთი სხვა რაიონის საბჭოთა, პარტიულმა და სამეწარმოთმქმედო ორგანოებმა ვერ უზრუნველჰყვეს მინდვრის სამუშაოთა დროულად და ხარისხოვნად ჩატარება, რის შედეგადაც მარცვლეული კულტურების მცირე მოსავალი მიიღეს.

„სოფლის მეურნეობის განვითარების 1946 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 8 მარტის დადგენილების განსახორციელებლად საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს:

1. დაევალოს საქართველოს სს რესპუბლიკის მიწათმოქმედებისა და ტექნიკური კულტურების სამინისტროებს, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, საქართველოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს, რაიაღმასკომებს, საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებს:

ა) თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის რაიონის აგროპერსონალის ძალებით, კოლმეურნეობათა გამგეობებთან და გამოცდილ კოლმეურნეებთან ერთად, შეიმუშაონ აგროტექნიკური ღონისძიებანი თესვისა და ნათესების დამუშავების მოკლე ვადებში და მაღალი აგროტექნიკური დონით ჩასატარებლად;

ბ) შეამოწმონ თვითეულ კოლმეურნეობაში ცალკე—რამდენად უზრუნველყოფილი არიან ისინი ნათესლე მასალით, რა მდგომარეობაშია თესლის გაწმენდა და მისი აყვანა ნათეს კონდიციამდე, ა. წ. 5 აპრილამდე თესლის საკონტროლო ლაბორატორიების საშუალებით დაამთავრონ თესლის ხარისხის შემოწმება;

გ) ზამთრის განმავლობაში დაგროვებული ტენის შენარჩუნების მიზნით, რაც უზრუნველყოფს უხვი მოსავლის მიღებას, აღრე გაზაფხულზე, როგორც კი შესაძლებელი იქნება მინდვრად გასვლა, 1-2 კვალად დაფარცხონ მზრალად მოხნული და შემოდგომის ანეულის ყველა ნაკვეთი იმ ვარაუდით, რომ ნაკვეთის ზედაპირი დაფარულ იქნას ნიადაგის ფხვიერი ფენით;

დ) დააწესონ ხვნის ხარისხის ზუსტი კონტროლი, აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში ხვნა აწარმოონ სულ მცირე 20-22 სანტიმეტრის სიღრმეზე და დასავლეთ საქართველოს რაიონებში—16-18 სანტიმეტრის სიღრმეზე, არ დაუშვან ხარვეზები და აუცილებლად მოხნან ნაკვეთების ბოლოები;

მოხვნამდე უზრუნველჰყონ მინდვრების სავალდებულო გაწმენდა ჯარკებისა, ბუჩქნარისა, ქვებისა და წინა წლის მოსავლის ღეროების ნარჩენებისაგან;

ე) უზრუნველჰყონ კულტურების სწორი განლაგება თესლბრუნვათა მინდვრებზე, არ დაუშვან შემოღებულ თესლბრუნვათა დარღვევა, ხოლო იქ, სადაც თესლბრუნვები არ არის—თესონ იმ წინამორბედის ყოფილ ნათესში, რომელიც უმჯობესია თვითეული კულტურისათვის;

ვ) უზრუნველჰყონ ნათესების გულმოდგინე მოვლა, კერძოდ, სამეძოგომო კულტურებისა ადრეული საგაზაფხულო ფარცხვა და დამატებითი კვება, სამეძოგომო და საგაზაფხულო მარცვლეული კულტურების მარგვლა და რწყვა;

ამ ნაკვეთებზე, რომლებიც გამოქარვას განიცდიან (სამგორის ველი საგარეჯოს რაიონში, სოღახლუღის, თელეთისა და ლილო-მარტყოფის ზონები თბილისის რაიონში, წილკნის ველის ურწყავი ზონა და სხვ.) საგაზაფხულო ფარცხვა არ ჩაატარონ, მაგრამ უზრუნველჰყონ ნათესების გულმოდგინე გამარგვლა ხელით მცენარის ამოღერებამდე;

ზ) გულმოდგინედ და დროულად დაამუშაონ ყველა სათოხნი კულტურა, დროულად ჩაატარონ სიმინდისა და მზესუმზირის ნათესების პირველი და მეორე თოხნა და იმავე დროს გაშენებული ბაღების, ხოლო იმ ნაკვეთებზე, სადაც ამ კულტურების შემდეგ საშემოდგომო თავთავიანი კულტურები უნდა დაითესოს, მესამე თოხნაც;

თ) კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ დანერგონ აკადემიკოს ვილიამსის მიერ რეკომენდებული წინასახნისიანი გუთნით ღრმა კულტურული ხვნა და ნაწვერალის წინასწარი აოშება.

მთელი არსებული წინასახნისების სრული გამოყენებისათვის პერსონალური პასუხისმგებლობა დაეკისროთ მტს-ების დირექტორებსა და უფროს აგრონომებს, დაევალოთ მათ სასტიკად დასაჯონ ის პირნი, რომლებიც დაუშვებენ გუთნებიდან წინასახნისების მოხსნას;

ი) უზრუნველჰყონ ზაფხულის განმავლობაში ანეულის დაუსარევლიანება და სიფხვიერე, ამავე დროს ჩაატარონ მათი დამუშავება;

კ) მიაღწიონ საშემოდგომო თესვის ჩატარებას დადგენილ აგროტექნიკურ ვადებში გულდასმით და დროულად მომზადებულ ნაკვეთებზე და მზრალად მოხვნას შემჭიდროებულ ვადებში;

ლ) ყველა კოლმეურნეობაში გამოჰყონ თვითეული კულტურის მიხედვით დაწესებული ოდენობით სათესლე ნაკვეთები და მიამაგრონ ისინი ცალკეულ რგოლებს.

უზრუნველჰყონ მაღალი აგროტექნიკის დაცვა სათესლე ნაკვეთებზე, სათესლე ნაკვეთების გამოყოფა გააფორმონ სათანადო აქტებით, დროული გამოყოფისა და კოლმეურნეობათა სათესლე ნაკვეთებზე მიღებული აგროტექნიკის დაცვისათვის პასუხისმგებლობა დააკისრონ პირადად კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს და რაიმიწგანების მეთესლე აგრონომებს;

მ) დააწესონ 1946 წელს თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის ადგილობრივი სასუქის დაგროვებისა და შეტანის გეგმები გასაპოხიერებელი ფართობის განსაზღვრით, ამასთან უზრუნველჰყონ ნაკელისა და სხვა ადგილობრივი სასუქის სრული გამოყენება და პირველ რიგში შეტანა ტექნიკური და ბოსტნეული კულტურების ფართობებში, აგრეთვე საშემოდგომო პურეულის ანეულში;

ნ) მოამზადონ სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის მთელი არსებული აპარატურა და სხვა საშუალებანი და უზრუნველჰყონ მათთან ბრძოლის საჭირო ღონისძიებათა გატარება.

7. დაევალოს საქართველოს სს რესპუბლიკის ტექნიკური კულტურებისა და მიწათმოქმედების სამინისტროებს, რაიაღმასკომებს და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს ტექნიკური კულტურების რაიონებში დაწესონ გულმოდგინე კონტროლი ყველა აგროტექნიკური ღონისძიების დროულად და სრულად გატარებისადმი 1946 წელს ახლად შემოღებული კულტურების — ბამბის, არახისისა და ლუფის დარგში, აგრეთვე თამბაქოს და შაქრის ჭარხლის დარგში, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ შემდეგ ღონისძიებათა გატარებას:

ბამბის დარგში:

ა) უზრუნველჰყონ ბამბის მთესველ ყველა კოლმეურნეობაში ბამბის დათესვა მზრალად მოხნულ ნაკვეთებზე. მზრალად მოხნული ნაკვეთების ნაკლებობის დროს ბამბა დათესონ გაზაფხულის ადრეულ ნახნავში.

მოაწყონ ნიადაგის სათანადო თესვისწინა დამუშავება (გადახვნა ბელტის გადაუბრუნებლად და ამავე დროს 1-2 კვალად ფარცხვა) კოშტების გულდასმითი დაფშვნით;

ბ) ბამბა დათესონ შეწამლული თესლით თესვისწინა დამუშავებისა და დაფარცხვისთანავე, არ დაუშვან ნიადაგის თესვისწინა დამუშავებისა და თესვის დაშორიშორება;

გ) ორჯერ ჩაატარონ ბამბის დროული და გულდასმითი გამეჩხრება იმ ვარაუდით, რომ ჰექტარზე აუცილებლად იყოს 90-100 ათასი მცენარე.

ნათესების სიმეჩხრის შემთხვევაში ჩაატარონ გამოთესვა შეწამლული ღამბალი თესლით;

დ) ვეგეტაციური პერიოდის განმავლობაში უზრუნველჰყონ სულ მცირე ოთხი ღრმა გათხხნა და ხუთი მწკრივთშორისი კულტივაცია;

ე) ჩაატარონ ვეგეტაციური მორწყვა მხოლოდდამხოლოდ კვლებში, არ დაუშვან ბამბის დაფარვა წყლით, თვითეული მორწყვის შემდეგ აუცილებლად ჩაატარონ ღრმა კულტივაცია და შემდეგ გათხხნა იმ ვარაუდით, რომ ნიადაგი, სადაც ბამბა სთესია, იყოს ნორმალურ ტენიან და ფხვიერ მდომარეობაში.

თამბაქოს დარგში:

ა) მეთამბაქოობის ყველა კოლმეურნეობაში თამბაქოს თესვა საჩითილეებში დაამთავრონ არა უგვიანეს 1946 წლის 1 აპრილისა;

ბ) უზრუნველჰყონ თამბაქოს საჩითილეების გულმოდგინე მოვლა იმ ვარაუდით, რომ შთლიანად და დროზე ჩაატარონ თამბაქოს რგვა აგროწესებით დადგენილ ვადებში:

გ) აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების მეთამბაქოობის ყველა კოლმეურნეობაში შეამოწმონ, რამდენად არის უზრუნველყოფილი თამბაქოს რგვის გეგმა მზრალად მოხნული მიწებით და ამ მიწების სხვა კულტურებისათვის გამოყენების ფაქტების გამოვლინების შემთხვევაში შესცვლონ ისინი კარგად დამუშავებული სხვა ნაკვეთებით;

დ) თამბაქოს რგვა აწარმოონ მხოლოდდამხოლოდ ჯანსაღი, ძწიფე ჩითილით;

ე) დარგვის შემდეგ სამი დღის ვადაში შეამოწმონ თამბაქოს ყველა პლანტაციის მდგომარეობა და დაღუპული ჩითილის ადგილზე ჩაატარონ რგვა, თამბაქოს ყველა პლანტაციაში უზრუნველჰყონ დარგვის სიხშირის დაწესებული ნორმების დაცვა და დარგულ მცენარეთა მთელი რაოდენობის შენარჩუნება თამბაქოს მოსავლის აღების დამთავრებამდე;

ვ) სამჯერ ჩაატარონ თამბაქოს საგალდებულო მწკრივთშორისი გაფხვიერება ზუსტად დაწესებულ ვადებში, უზრუნველჰყონ თამბაქოს მცენარეთა გაფურჩქვნა და თავის წატეხვა აგროტექნიკის მოთხოვნათა შესაბამისად;

ზ) თამბაქოს ფოთლის შეტეხა ჩატარონ მხოლოდდამხოლოდ ტექნიკური სიმწიფის სტადიაში იარუსებად—სამსუნის ჯიშისა 7 ჯერად და ტრაპიზონის ჯიშისა 6 ჯერად.

თ) ფართოდ გამოიყენონ თამბაქოს პლანტაციების მექანიზებული მწკრივთშორისი დამუშავება (კულტივაცია), რისთვისაც აღრიცხონ ყველა მეურნეობაში არსებული ცხენის კულტივატორები, შეაკეთონ ისინი და იქონიონ მზად მარგვლის სამუშაოთა დაწყებისათვის;

ი) თამბაქოს მოსავლის აღების დაწყებამდე, ე. ი. 1946 წლის 1 ივლისამდე შეაკეთონ ყველა საშრობი მოწყობილობა და უზრუნველჰყონ თამბაქოს მთელი მოსავლის ხარისხობრივი შრობის ჩატარება;

შაქრის ჭარხლის დარგში:

ა) შეამოწმონ ჭარხლის მთესველ ყველა კოლმეურნეობაში შაქრის ჭარხლისათვის განკუთვნილი მზრალად მოხნული ნაკვეთები და არაკეთილხარისხოვნად მოხნული ნაკვეთების გამოვლინების ან სხვა კულტურების ნათესებისათვის მათი გამოყენების შემთხვევაში ასეთი ნაკვეთები შესცვალონ მზრალად მოხნული სხვა ნაკვეთებით.

იმ შემთხვევაში, თუ მზრალად ხნული არ იქნება, გამოჰყონ ახალი ნაკვეთები და დაუყოვნებლივ ჩაატარონ მათი ხარისხობრივი ხვნა;

ბ) მინდვრად გასვლის პირველი შესაძლებლობისთანავე დაფარცხონ მზრალად ხნული; თესვის წინ ჩაატარონ კულტივაცია ფარცხვითა და მინერალური სასუქების წინასწარ შეტანით, ხოლო ამის შემდეგ თესვა; არ დაუშვან თესვისწინა დამუშავებისა და თესვის დაშორიშორება;

გ) დათესვის შემდეგ იმავე დღეს უზრუნველჰყონ ნათესების დატკეპნა.

მთლიანად გამოიყენონ ჭარხლისა და მარცვლეულის სათესი ყველა მანქანა; წვრილ ნაკვეთებზე შაქრის ჭარხლის თესვა ჩაატარონ ხელით და გამოიყენონ მარკერები.

მოაწყონ კოლმეურნეობებში ახალი საგორავების, აგრეთვე მარკერების დამზადება შაქრის ჭარხლის ხელით მწკრივად თესვისათვის;

დ) დააწესონ თესვის დროს თესლის თანაბრად განაწილებისა და ნიადაგში ჯეროვნად ჩათესვისათვის, ხოლო შემდეგში—აღმონაცენის გამოჩენისათვის თვალყურის დევნება. აღმონაცენის სიმეჩხრის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ჩაატარონ დამბალი თესლის გამოთესვა ან გამორგვა იმ ვარაუდით, რომ ჰექტარზე აუცილებლად იყოს სულ მცირე 100-110 ათასი ძირი;

ე) ყველა კოლმეურნეობაში დააწესონ ნათესების მდგომარეობისათვის თვალყურის სისტემატური დევნება, უზრუნველჰყონ შაქრის ჭარხლის პლანტაციების დამუშავების ყველა ღონისძიებათა (პირველი გათხხნა, გამეჩხრების, დამატებითი კვების, მავნებლებთან ბრძოლის) დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარება, აგრეთვე სარწყავ ნაკვეთებზე 6-7-ჯერ ვეგეტაციური მორწყვა მწკრივთა შორის შემდგომი გაფხვიერებით;

ვ) მიაღწიონ ყველა კოლმეურნეობის მიერ მოსავლიანობის დავალების აუცილებლად შესრულებას და ძოსავლის აღებისას დანაკარგების თავიდან აცილებას.

8. საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი საბჭოთა და პარტიული ორგანოს, აგრეთვე საქართველოს სს რესპუბლიკის მიწათმოქმედების სამინისტროს უყურადღებას მიაპყრობენ ხეხილის ბაღების, ვენახების აღდგენის, რემონტისა და მათი მოვლის სამუშაოთა არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას.

საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებენ საქართველოს სს რესპუბლიკის მიწათმოქმედების სამინისტროს, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, რაიაღმასკომებს, საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, აგრეთვე კოლმეურნეობათა გამგეობებს მიიღონ გადაუწყვეტი ზომები ხეხილის ბაღების, ვენახების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და უზრუნველჰყონ 1946 წლისათვის მეხილეობისა და მევენახეობის დარგში დაწესებულ საწარმოო დავალებათა აუცილებლად შესრულება.

9. განემარტოს რაიონულ საბჭოთა და პარტიულ ორგანოებს, აგრეთვე კოლმეურნეობათა გამგეობებს, რომ კოლმეურნეობების მიერ აგრონომებთან ერთად დაწესებულ აგროტექნიკურ ღონისძიებათა გაუქმება ან შეცვლა კატეგორიულად აკრძალულია ამ ღონისძიებათა დამწესებელი აგრონომისათვის შეუტყობინებლად ან რაიმიწგანის მთავარი აგრონომისა და ტექნიკური კულტურების დარგში ტექნიკური კულტურების რაიონული განყოფილების მთავარი აგრონომის ნებადაურთველად.

10. დაევალოს საქართველოს სს რესპუბლიკის მიწათმოქმედების სამინისტროს, რაიაღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს, აგრეთვე კოლმეურნეობათა გამგეობებს, ნათეს ბალახიან თესლბრუნვათა უსწრაფესად ათვისების მიზნით, უზრუნველჰყონ ბალახების თესლის დაწესებული გეგმის აუცილებლად შესრულება და ნათესების სათანადოდ მოვლა.

ამ მიზნით:

ა) მთლიანად გამოიყენონ კოლმეურნეობებში არსებული და მათთვის მიმდინარე წლის გაზაფხულზე დასათესად მიცემული ბალახების მთელი თესლი, უზრუნველჰყონ თესლით პირველ რიგში ბალახების რაიონული სათესლეები, მეთესლეობის რაიონული მეურნეობები და კოლმეურნეობები, რომლებშიც შემოღებულია თესლბრუნვები;

ბ) დაუწესონ თვითეულ კოლმეურნეობას ბალახების თესვის დაწყებისა და დამთავრების კონკრეტული ვადები, ამასთან გაითვალისწინონ თესვის ჩატარება შემჭიდროებულ ვადებში;

გ) დროულად და სრულად ჩაატარონ ბალახების ნათესებში ყველა აგროტექნიკური ღონისძიებანი — გამარგვლა, რწყვა და მავნებლებთან ბრძოლა;

დ) ყველა კოლმეურნეობაში, რომლებსაც მრავალწლიანი ბალახების ნათესები აქვთ, სათესლედ გამოჰყონ თესლის მისაღებად ვარგისი ყველა ნაკვეთი.

ამ ნაკვეთების გამოყოფა ჩაატარონ საგაზაფხულო აღცენების დასაწყისში, მიამაგრონ ეს ნაკვეთები ცალკეულ რგოლებს ვეგეტაციის მთელი პერიოდისათვის, უზრუნველჰყონ სათანადო მოვლა და ბალახების თესლის უხვი მოსავლის მიღება.

11. განემარტოს პარტიულ ორგანიზაციებს, საბჭოთა და სამეწარმოთმქმედო ორგანოებს, კოლმეურნეობათა გამგეობებსა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, რომ საკვები კულტურებისა და განსაკუთრებით მრავალწლიანი ბალახების თესვის გეგმის შეუსრულებლობისათვის ისინი ისევე აგებენ პასუხს, როგორც მარცვლეული, ტექნიკური და ბოსტნეული კულტურების თესვის გეგმების შეუსრულებლობისათვის.

12. დაევალოს საქართველოს სს რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის სამინისტროს, რაიაღმასკომებს და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს:

ა) ვეგეტაციური მორწყვის დაწყებამდე უზრუნველჰყონ სარწყავი, წყალსადები და საკოლექტორო ქსელის გაწმენდა და აღდგენა და შეაკეთონ ყველა ჰიდროტექნიკური ნაგებობა;

ბ) დროზე შეადგინონ და დაამტკიცონ სარაიონთაშორისო და საკოლმეურნეობათაშორისო წყლის განაწილების გეგმები წყლის მიწოდების დაწესებული ლიმიტების შესაბამისად.

უზრუნველჰყონ, რომ რაიონულმა საძიწათმოქმედო განყოფილებებმა და ტექნიკური კულტურების განყოფილებებმა, წყალთა მეურნეობის ორგანოებთან ერთად, შეადგინონ და არაუგვიანეს 1946 წლის 15 აპრილისა დაამტკიცონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წყლით სარგებლობის გეგმები;

არხებიდან წყლის მიწოდება აწარმოონ წყლით სარგებლობის გეგმების საფუძველზე დაწესებული ლიმიტების მიხედვით, ამასთან გაითვალისწინონ მორწყვის წყაროების წყალუხვობა და სარწყავი მიწების მდგომარეობა.

13. მანქანა-ტრაქტორთა პარკის გამოყენების შემდგომი გაუმჯობესების, სატრაქტორო სამუშაოთა ხარისხის ამაღლების, მტს-ების მიერ კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებებით ნაკისრ საწარმოო ვალდებულებათა აგროტექნიკურ ვადებში შესრულების და ამის საფუძველზე კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის შემდგომი გადიდების მიზნით, დაევალოს საქართველოს სს რესპუბლიკის მიწათმოქმედებისა და ტექნიკური კულტურების სამინისტროებს, რაიაღმასკომებს, საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებსა და მტს-ების დირექტორებს:

ა) უზრუნველჰყონ აგრეგატების სწორი დაკომპლექტება მუშაობის პირობების გათვალისწინებით და დაკომპლექტონ ტრაქტორისტთა შემადგენლობა, აგრეთვე სატრაქტორო ბრიგადების ხელმძღვანელი შემადგენლობა იმ ტრაქტორისტებით, რომელთაც აქვთ მუშაობის დიდი გამოცდილება, პირველ რიგში წითელი არმიიდან დემობილიზებულთა რიცხვიდან;

ბ) ტრაქტორზე დამოუკიდებელი მუშაობისათვის დაუშვან მხოლოდ ის პირები, რომლებმაც გაიარეს სწავლება და აქვთ ტრაქტორისტის წოდება.

გამოუცდელი, ახლად მომზადებული ტრაქტორისტები, მინდვრის სამუშაოთა სეზონის განმავლობაში უფროსი ტრაქტორისტის ხელმძღვანელობით პრაქტიკის მისაღებად, გამოიყენონ მისაბმელ მანქანებზე მომუშავეებად.

გადამბმელი კოლმეურნეები სატრაქტორო ბრიგადების მომსახურებისათვის მიამაგრონ კოლმეურნეობაში ბრიგადის მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში.

აღმრიცხველ-გამმართველნი, ტრაქტორისტები და სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირები, როგორც წესი, არ გადაიყვანონ სამუშაოდ სხვა ბრიგადებში.

სატრაქტორო ბრიგადები დიდ კოლმეურნეობებში მინდვრის სამუშაოთა მთელი პერიოდის განმავლობაში მიამაგრონ მემინდვრეობის ბრიგადებს, ხოლო პატარა კოლმეურნეობათა მომსახურებისას ერთ კოლმეურნეობას ან კოლმეურნეობათა ჯგუფს;

გ) დროზე დაამთავრონ სატრაქტორო ბრიგადების შექმნა, სამუშაოთა მთელ სეზონში ტრაქტორები და მანქანები მიამაგრონ ბრიგადებსა და ტრაქტორისტებს მტს-ების მიერ კოლმეურნეობებთან დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად.

თვითეულ სატრაქტორო ბრიგადას დაუწესონ სატრაქტორო სამუშაოთა წლიური დავალებანი კოლმეურნეობების, სატრაქტორო სამუშაოთა სახეებისა და მათი შესრულების ვადების აღნიშვნით.

შეადგენონ სამუშაო გეგმები მინდვრის სამუშაოთა პერიოდისათვის მუშაობის ვადების, სახეების და ხარისხის აღნიშვნით; ბრიგადირებსა და ტრაქტორისტებს ჩაბარონ ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ტექნიკური მოვლის გრაფიკები სამუშაოთა პერიოდების მიხედვით.

დაავალონ მტს-ების მექანიკოსებს ყოველ ხუთ დღეში ერთხელ მაინც პირადად შეამოწმონ ყოველ სატრაქტორო ბრიგადაში ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ტექნიკური მდგომარეობა;

დ) ფართოდ გამოიყენონ მოწინავე სატრაქტორო ბრიგადებისა და კოლმეურნეობების გამოცდილება ადგილობრივი სამშენებლო მასალებისაგან უმარტივესი საველე სახელოსნოების, ფარდულებისა და საწვავის შესანახად სარდაფების აგების საქმეში;

ე) მოაწესრიგონ მტს-ების და საბჭოთა მეურნეობების ნავთის მეურნეობა, დაიცვან საწვავის უმკაცრესი ეკონომია და არ დაუშვან მისი განიავება;

ვ) განუმარტონ ტრაქტორისტებს, რომ 1946 წელსაც რჩება საგაზაფხულო თესვაში დაწესებულ 15-დღიან დავალებათა შესრულებისათვის პრემიების მიცემა, შრომადღეების ორმაგად დარიცხვის წესი და მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის საწვავის ხარჯვის ნორმების 10 პროცენტით გადიდება ხვნაზე მუშაობის პირველი 6 დღის განმავლობაში.

14. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, რაიაღმასკომებს, საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, აგრეთვე საქართველოს სს რესპუბლიკის მიწათმოქმედების სამინისტროს უზრუნველჰყონ ყველა იმ საწარმოო დავალებათა და ღონისძიებათა უთუო შესრულება, რომლებიც დაწესებულია საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 21 თებერვლის და 4, 5 და 6 მარტის დადგენილებით ციტრუსოვანი კულტურების, ჩაის, ტუნგოს, კეთილშობილი დაფნის, ევკალიპტის, ბამბუკის, მეენახეობისა და მეხილეობის დარგში.

* * *

საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, სამეწარმოთმქმედო ორგანოების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების დირექტორების, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა 1946 წლის გეგმების შესრულება უმნიშვნელოვანეს სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს და მოითხოვენ მათგან კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ყველა გეგმის მაღალი აგროტექნიკური დონით შესრულებას და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის შემდგომ მნიშვნელოვან გადიდებას.

ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება 1946 წელს მეტი ქვანახშირის მოპოვებისათვის

ჯყიბუღელ მეშახჯეთა მიმართვა ჯყვარჩელელი მეშახჯეებისაღმი

ძვირფასო ამხანაგებო!

გენიალური მხედართმთავრის დიდი სტალინის წინამძღოლობით სამამულო ომი ჩვენი სამშობლოს ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. საბჭოთა ქვეყანა შეუდგა ომით მიყენებული ჭრილობების მოშუშებას და სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ ერთსულოვნად დაამტკიცა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა 1946-1950 წლებისათვის. სოციალისტური მშენებლობის ამ გრანდიოზული პროგრამით ქვანახშირის მოპოვება საქართველოში 1950 წლისათვის 1945 წელთან შედარებით ერთიოთხად უნდა გაიზარდოს.

საქართველოს მეშახტეები მოწოდებული არიან შეუფერხებლად დააკმაყოფილონ ჩვენი მრეწველობისა და ტრანსპორტის მოთხოვნილება ქვანახშირზე. ჩვენ, ტყიბულის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, აღზრდილნი დიდი სტალინის საუკეთესო თანამებრძოლის, ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ ლ. პ. ბერიას მიერ, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ერთსულოვნად შევასრულებთ ჩვენს წინაშე მდგომ ამოცანას — მივცემთ მეტსა და მაღალხარისხოვან ქვანახშირს საქართველოსა და ამიერკავკასიის მზარდ მრეწველობას. ამის თავდებია ჩვენი შახტების სტახანოველებისა და მთელი კოლექტივის თავდადებული შრომა.

ჩვენს შახტებში ბევრია მოწინავე ადამიანები, რომლებმაც თავი ისახელეს თავდადებული შრომით. ასეთებია მნგრეველები: დ. ნემსაძე, თ. ნანიკაშვილი, ლ. გოჩელაშვილი, ი. სერებრიაკოვი; მებიგეები: ა. არსენიძე, ი. ბრეგაძე, გ. ბოჭორიშვილი, გ. სუსლოვი; მტვირთავები: ო. რობაქიძე, პ. აბესაძე, ნ. მემანიშვილი, ი. გოქაძე და სხვ. მათ და ჩვენი შახტების სხვა ბევრმა თავდადებულმა ადამიანმა გასულ წელს ორი-სამი წლის ნორმა შეასრულეს.

ტყვარჩელელო მეშახტეებო!

ჩვენი სამშობლოს მტრებზე სახელოვანი გამარჯვებებით აღფრთოვანებულმა და თქვენთან სოციალისტური შეჯიბრებით დარაზმულმა ტყიბულელმა მეშახტეებმა 1944 წელთან შედარებით გასულ წელს 55.500 ტონით მეტი ქვანახშირი მისცეს სამშობლოს. შრომის ნაყოფიერება გავადიდეთ 6,5 პროცენტით, ქვანახშირის ნაცრიანობა შევამცირეთ 2,05 პროცენტით, დავზოგეთ 408.000 კილოვატსაათი ელექტროენერგია, 1945 წლის მოსამზადებელი სამუშაოების გეგმა შევასრულეთ 101,2 პროცენტით.

კიდევ უფრო უკეთესი მაჩვენებლები გვაქვს მიმდინარე წელს. სტალინის სახელობის შახტმა იანვრის გეგმა 110 პროცენტით შეასრულა, ხოლო თებერვლისა — 122 პროცენტით; ლენინის სახელობის შახტმა თებერვლის გეგმა 108 პროცენტით გაანაღდა, ხოლო მთლიანად ტრესტმა—114 პროცენტით.

მაგრამ მიღწეული წარმატებები არ გვაკმაყოფილებს. ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებები. ზოგი შახტი ჩამორჩება სამთო-მოსამზადებელი სამუშაოების შესრულებაში. ჩამორჩენა გვაქვს ძირითადი კვალიფიკაციის მუშათა კადრების მომზადების საქმეშიც, ზოგ შემთხვევაში ადგილი აქვს ქვანახშირის თვითღირებულების ზრდას. ყველა ეს ნაკლოვანება უახლოეს დროში უნდა აღმოვფხვრათ.

ქართველი ხალხის საამაყო შვილმა, დიდი სტალინის ეროგულმა თანამებრძოლმა ამხანაგმა ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ თბილისის სტალინის სახარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1946 წლის 5 თებერვალს საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებს ფრიად საპატიო და საპასუხისმგებლო ამოცანები დაუსახა. ამ ამოცანების სასახელოდ შესრულების მიზნით ჩვენ, ტყიბულქვანახშირის ტრესტის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა საერთო საშახტო კრებებზე მივიღეთ გადაწყვეტილება განვაგრძოთ სოციალისტური შეჯიბრება თქვენთან, ამხანაგო ტყვარჩელელებო! გიწვევთ სოციალისტურ შეჯიბრებაში და 1946 წლისათვის ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

1. ქვანახშირის ამოღების 1946 წლის გეგმა შევასრულოთ 102 პროცენტით;

2. ტონა ქვანახშირის თვითღირებულება შევამციროთ 1,5 პროცენტით;

3. შრომის ნაყოფიერება გავადიდოთ 1 პროცენტით;

4. ქვანახშირის ხარისხი გავაუმჯობესოთ 1,5 პროცენტით, ამასთანავე მივცეთ გაცხრილული ქვანახშირი მთელი ამოღებული ქვანახშირის 28 პროცენტის რაოდენობით;

5. ძირითადი სამთო-მოსამზადებელი სამუშაოების წლიური გეგმა შევასრულოთ 102 პროცენტით;

6. ორ სანგრევში მოვაწყოთ სწრაფი წინსვლა;

7. ვაწარმოოთ ქვანახშირის გამომუშავებული ადგილების პროფილაქტიკური დაშლამვა 15 პროცენტამდე, ნაცვლად გასული წლის 5-6 პროცენტისა;

8. დავზოგოთ 200.000 კილოვატსაათი ელექტროენერგია;

9. განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ უშიშროების წესების დაცვას.

10. გავაუმჯობესოთ მუშათა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება. წელს 400 კაცისათვის დამატებით სანიმუშოდ მოვაწყოთ მუშათა საერთო საცხოვრებელი, უზრუნველვყოთ ყველა სახის საერთო საცხოვრებლები საჭირო რაოდენობის ინვენტარ-მოწყობილობით, სანიმუშოდ მოვაწყოთ ერთი სასადილო და ერთი მაღაზია.

ამხანაგო ტყვარჩელელებო! ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება. სამთო სამუშაოების ტექნიკის ამაღლებით, შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდით მოვიპოვოთ მიმდინარე წელს თვალსაჩინო წარმატებანი, მთელი ძალებით დავირაზმოთ დიდი სტალინის მიერ მეშახტეთა წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის! მივცეთ საყვარელი სამშობლოს სოციალისტურ მრეწველობასა და ტრანსპორტს მეტი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირი!

გაუმარჯოს ძლევამოსილ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს ქართველი ხალხის სახელოვან შვილს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას!

გაუმარჯოს ხალხთა დიდ ბელადს, საბჭოთა სამშობლოს გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს ამხანაგ სტალინს!

ტყიბულქვანახშირის ტრესტის მეშახტეთა დავალებით მიმართვას ხელს აწერენ:

სტახანოველი მეშახტეები — შ. ფურცხვანიძე, ლ. გოჩელაშვილი, პ. აბესაძე, ვ. ცირეკიძე, ფ. კრასიკოვი, ა. ყიფშიძე, ნ. კირიაკი, ი. გოქაძე, ტყიბულქვანახშირის ტრესტის მმართველი ა. ვარდიშვილი, საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანი ე. ჯვებენავა, უბნის უფროსები — გ. ჩიტიშვილი, პ. ნანიკაშვილი, სტალინის სახელობის შახტის უფროსი ლ. რატიანი, ლენინის სახელობის შახტის უფროსი ნ. კვინიხიძე, გელათის მაღაროს უფროსი მ. კიკვაძე და სხვ. სულ 30-მდე კაცი.

კარგი გამოცდილება

საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ყველა საამქრო. მუშა-მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა ახალი ვალდებულებები იკისრეს. ამ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად საქარხნო პარტიულმა ორგანიზაციამ (პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. ა. გაბიჩვაძე) პროფესიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთა განხორციელებასაც უკვე შეუდგნენ. რამდენიმე დღეა აქ მიმდინარეობს შრომის ორგანიზაციის საზოგადოებრივი დათვალიერება. საამქროებში გამოყოფილი არიან კომისიები, რომლებიც ამოწმებენ თვითეულ სამუშაო ადგილს და სახავენ ღონისძიებებს მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ქარხანაში წესად შემოიღეს საამქროების მიხედვით ყოველდღიური 5-წუთიანი საგეგმო თათბირების მოწყობა, რაც მეტად კარგ შედეგს იძლევა. ყოველ დილით საამქროთა ხელმძღვანელები ადგენენ თავიანთ მოთხოვნილებებს იმის შესახებ, თუ მათ საამქროებში დღეს რა და რა სახის დეტალი დასჭირდებათ, რა რაოდენობითა და რომელი საათისათვის, რათა დავალება შესრულდეს. ამგვარად სდგება საამქროთა მუშაობის ყოველდღიური გრაფიკი, რომლის შესრულების შემოწმებაც ხდება სამუშაო დღის ბოლოს. თუ რაიმე დაბრკოლებამ იჩინა თავი, მეორე დღისათვის სახავენ ღონისძიებებს მის გადასალახავად. ასეთი ღონისძიების განხორციელებით დიდდება საამქროთა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა, უკეთ სრულდება საწარმოო გეგმა.

მოწინავე სტახანოველთა მიღწევების პოპულარიზაციისთვის ქარხანაში გამოჰყვეს ინფორმატორები. ისინი შესვენებისას მუშებს აცნობენ ამა თუ იმ სტახანოველის მიღწევას და მუშაობის მეთოდს. ინფორმატორთა ასეთი გამოსვლები მუშებში დიდ ინტერესს იწვევს. ამას გარდა ქარხანაში მოაწესრიგეს შიდასაქარხნო სატრანსლაციო რადიოქსელის მუშაობა. რადიოთი ცხადდება, თუ როგორ მაჩვენებლებს იძლევიან შეჯიბრებაში ჩაბმული მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები, ვინ დაწინაურდა, ვინ ჩამორჩა და რა მიზეზით. როგორც ინფორმატორთა გამოსვლები, ისე რადიოტრანსლაცია მუშებში აძლიერებს საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურების ინტერესს.

ყოველივე ამის შედეგად მარტის პირველსა და მეორე დეკადაში ქარხნის კოლექტივმა უკვე გამოუშვა და დანიშნულებისამებრ ჩააბარა იმდენი ორთქლმავალი, რამდენსაც ისინი წინათ მთელი თვეობით ვერ იძლეოდნენ.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივის ამ გამოცდილების გადატანა სხვა საწარმოებში არ უნდა დააყოვნონ ადგილობრივმა პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა.

დ. ამირანიძე

ნავთლუღელ რკინიგზელთა ვალდებულებანი

ამიერკავკასიის რკინიგზაზე საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად გამოვიდა ნავთლუღის რკინიგზის კვანძის კოლექტივი. ამას წინათ მან მიიღო მიმართვა ამიერკავკასიის ყველა რკინიგზელისადმი.

— ჩვენ, ნავთლუღის კვანძის რკინიგზელები,—სწერენ ისინი თავიანთ მიმართვაში,—ვებმებით საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვკისრულობთ:

ვაგონების დატვირთვის გეგმა შევასრულოთ 120 პროცენტით, გადმოტვირთვისა—130 პროცენტით, ცარიელი ვაგონების მიწოდებისა—100 პროცენტით, მატარებლების გაშვებისა — 110 პროცენტით;

ვაგონების დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების ნორმები მშრალ ტვირთებზე შევამციროთ 10 პროცენტით, ხოლო ცისტერნებისა—5 პროცენტით. სატრანზიტო ვაგონებისა და ცისტერნების მოცდენა შევამციროთ 10 პროცენტით. უზრუნველვყოთ ყველა მატარებლის გრაფიკით გამგზავრება, არ დავუშვათ სადგურზე ორთქლმავალთა ზედმეტი გაჩერება, გადაჭრით ავამაღლოთ დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა ხარისხი, უზრუნველვყოთ მგზავრთა კულტურული მომსახურება.

მოვამზადოთ ახალი კვალიფიციური კადრები. გავაუმჯობესოთ რკინიგზელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები, უზრუნველვყოთ მათი შეუფერხებელი მომარაგება და კვება. ამ მიზნით 13 ჰექტარზე მოვაწყოთ დამხმარე მეურნეობა, გარდა ამისა კვანძის 670 რკინიგზელი უზრუნველვყოთ ინდივიდუალური ბოსტნებით. შევაგროვოთ და სახელმწიფოს ჩავაბაროთ 82 ტონა ლითონის ჯართი, მოვაწყოთ საკვანძო ტექნიკური კაბინეტი. გავაძლიეროთ კლუბთან არსებული თვითმოქმედი წრეების მუშაობა.

— ჩვენს მიერ ნაკისრი ვალდებულებების წარმატებით განხორციელება,—სწერენ შემდეგ თავიანთ მიმართვაში ნავთლუღელი რკინიგზელები,— ბევრად არის დამოკიდებული ორთქლმავლების დროულად მოწოდება. ამიტომ ჩვენ მივმართავთ თბილისის დეპოს მეორთქლმავლეებს შეუფერხებლად უზრუნველჰყონ სადგური ნავთლუღი ორთქლმავლებით.

ნავთლუღელი რკინიგზელები მოუწოდებენ ამიერკავკასიის ყველა რკინიგზელს ჩაებნენ საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში და უზრუნველჰყონ მეოთხე სტალინური ხუთწლედის პირველ წელს მათ წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელება.

მიმართვას ხელს აწერს 32 კაცი.

მოსკოვი

(„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საქართველოს ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტები

24 მარტს მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის დარბაზში შესდგა საქართველოს ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის ს. სუხიშვილის მხატვრული ხელმძღვანელობით. კონცერტს დიდი წარმატება ჰქონდა. დამწყრენი მხურვალედ მიესალმნენ ხალხური ცეკვების ნიჭიერ შემსრულებლებს.

ანსამბლი მოსკოვში 10 კონცერტს გამართავს, შემდეგ კი საგასტროლოდ გაემგზავრება ლენინგრადში, ტალინში, რიგასა და ვილნიუსში.

ბრძოლა სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ირანში

ამ დღეებში ჩრდილოეთ ირანში გაფრინდება სასოფლო-სამეურნეო მავნებლების წინააღმდეგ მებრძოლი ექსპედიცია, რომელიც მოაწყო სსრ კავშირის მიწათმოქმედების სამინისტრომ და სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარმა სამმართველომ. როგორც თქვენს კორესპონდენტს აეროფლოტში აცნობეს, ირანში ექსპედიცია დაამუშავებს 60 ათას ჰექტარ ნათესს. წინა წლებთან განსხვავებით ქალიას გაანადგურებენ ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ის დაფრთიანდებოდეს. აეროფლოტმა გამოჰყო „ას“ ტიპის სპეციალური მოწყობილობით აღჭურვილ მსუბუქ თვითმფრინავთა რაზმი. სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის მთელი სამუშაოების დამთავრება გათვალისწინებულია ივნისის პირველი რიცხვებისათვის.

საჰაერო მიმოსვლა გაზაფხულ-ზაფხულზე

როგორც მოსკოვის ახალი ცენტრალური აეროპორტის უფროსმა გენერალ-მაიორმა შ. ჭანკოტაძემ თქვენს კორესპონდენტს განუცხადა, პირველი მაისიდან დაიწყება თვითმფრინავების რეგულარული მიმოსვლა პირველი ომისშემდგომი საგაზაფხულო-საზაფხულო გარიგის მიხედვით.

გათვალისწინებულია, რომ ღამის 2 საათიდან დილის 10 საათამდე თვითეულ 5 წუთში მოსკოვის ცენტრალური აეროპორტიდან გაფრინდებიან შორეული მიმოსვლის მანქანები. დილის 10 საათიდან 12 საათამდე აეროპორტი მიიღებს მოსკოვში მოფრენილ თვითმფრინავებს. დღის 12 საათის შემდეგ ძვლავ დაიწყება თვითმფრინავების გამგზავრება ახლო მახძილზე— კიევში, როსტოვში, ლენინგრადში, ხარკოვში, ყაზანში, სვერდლოვსკში. ყველა ამ რეისს მოუნდება რამდენიმე საათი.

ამჟამად აეროპორტიდან რეგულარულად მიფრინავენ თვითმფრინავები ბუდაპეშტში, ბელგრადში, ვენასა და ბერლინში.

მატარებელი ლიუძსი მოსკოვ-თბილისის მაგისტრალზე

მთავრდება მოსკოვ-თბილისის სწრაფი მატარებლის — ლიუჭსის მოწყობა. მატარებლის ყველა ვაგონში დაიდგმება ტელეფონი. დიდ სადგურებზე მატარებლის სატელეფონო სადგური იმუშავებს როგორც კომუტატორი. მისი საშუალებით მგზავრებს შესაძლებლობა ექნებათ ესაუბრონ ქალაქის აბონენტებს.

სპორტის დამსახურებული ოსტატები

ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სრულიად საკავშირო კომიტეტმა სპორტის დამსახურებული ოსტატის სახელწოდება მიანიჭა თბილისის „დინამოს“ გუნდის ფეხბურთელებს ჯეჯელავასა და ბერძენიშვილს. ფეხბურთის სპორტის ოსტატის სახელწოდება მიენიჭათ თბილისელ ფეხბურთელებს ჰეხლევანიძის, სალდაძეს, ანთაძეს, ღოღობერიძეს და სანაიას.

ქ. მებალიშვილის გამარჯვება

მინსკიდან იუწყებიან, რომ სომძიმეების აწევაში ბელორუსიის პირველობაზე მინსკში გამართულ შეჯიბრებაში მეორე ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის გმირმა, მსუბუქი წონის კარლო მებაღიშვილმა. მან სამ ჯიდში ასწია 250 კილოგრამი.

საქართველოს საჭადრაკო ჩემპიონატი

პირველი ნახევრის შედეგები

საქართველოს საჭადრაკო ჩემპიონატი, რომელიც ტარდება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავის აღსანიშნავად, ამ რამდენიმე ხნის წინათ დამთავრებული მოსკოვის საჭადრაკო ჩემპიონატის შემდეგ ერთერთი ღირსშესანიშნავი მოვლენაა საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ცხოვრებაში.

მე პირველად მიხდება საქართველოს მოჭადრაკეებთან შეხვედრა, მათი შემოქმედების გაცნობა. ამიტომაც ტურნირის პირველი ნახევარი არ არის საკმარისი, რომ საბოლოო დასკვნები გავაკეთო. ერთი რამ მაინც უდავოა: საქართველოს მოჭადრაკეთა თამაშის საერთო კლასი ჯეროვან სიმაღლეზე დგას, მაგრამ უმეტესობას, თუ ყველას არა, ეტყობა ძლიერ ტურნირებაში თამაშის საჭირო პრაქტიკის უქონლობა. ხშირად მოჭადრაკეები შეცდომებს აკეთებენ მოსაგებ პოზიციებში, თამაშობენ მოჭარბებული ტემპერამენტით, აშკარად ჩქარობენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკურმა კომიტეტმა ხშირად უნდა მოაწყოს ქართველ მოჭადრაკეთა შეხვედრები გამოცდილ ოსტატებთან, რაც შესძენს მათ სატურნირო გამოცდილებას.

ჯერჯერობით ყველაზე უკეთესი სპორტული შედეგები აქვთ ოსტატებრალიძეს და ოსტატობის კანდიდატებს ცინცაძეს, პეტროსიანს და ბლაგიძეს. ოსტატ ებრალიძის თამაში საკმაოდ ცნობილია საბჭოთა კავშირში და ამაზე არაფერს ვიტყვი.

ცინცაძე პოზიციური მოთამაშეა, მაგრამ იგი ხშირად განსაცდელში ვარდება დებიუტშივე. ეს მას ავალებს უფრო სრულყოფილად დაეუფლოს დებიუტს.

პეტროსიანი ნიჭიერი მოჭადრაკეა, მაგრამ აკლია სატურნირო გამოცდილება, რის შედეგადაც თანაბარი ძალით ვერ ატარებს პარტიას თავიდან ბოლომდე.

ბლაგიძე ენერგიული მოჭადრაკეა. ზოგიერთ გათამაშებულ პარტიაში მან პოზიციის ღრმა გაგება გამოამჟღავნა.

სერებრიაკოვის თამაშს ახასიათებს სიმტკიცე და ნებისყოფა, რის მეოხებით იგი ხშირად ამარცხებს მოწინააღმდეგეს და ზოგიერთ საეჭვო პარტიებსაც იგებს.

ფირცხალავა უეჭველად ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკეა საქართველოში, მაგრამ მის თამაშს დაეტყო ის, რომ უკანასკნელ ხანებში მოწყვეტილი იყო საჭადრაკო ცხოვრებას. მას აკლია გამძლეობა და სიმტკიცე. ამ მხრივ დამახასიათებელია მისი პარტია ოსტატ ზაგორიანსკისთან, სადაც მან ვერ გამოიყენა მოგების შესაძლებლობანი.

შიშოვი და სოროკინი გამოცდილი მოჭადრაკეებია, მაგრამ ამჟამად, როგორც სჩანს, არ არიან ფორმაში.

ახალგაზრდა მოჭადრაკეებიდან აღსანიშნავი არიან: გიორგაძე, მალაშხია და გაჩეჩილაძე, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ იმყოფებიან წიგნში შესწავლილი ვარიანტების გავლენის ქვეშ, დაუფლებული არ არიან სადებიუტო სტრატეგიის არსს და ამიტომაც ხშირად ძნიმე მდგომარეობაში ვარდებიან.

რასაკვირველია, ჯერჯერობით ადრეა მომავალი ჩემპიონის შესახებ რაიმე გარკვეულის თქმა. წინ კიდევ საკმაო მანძილია. მომავალ შეხვედრებს შეუძლია არაერთი სიურპრიზი მოუტანოს ტურნირის მონაწილეებს. ამიტომაც ტურნირის ლიდერებს დასჭირდებათ ფრთხილი და ყურადღებიანი თამაში.

ვფიქრობ, საბოლოოდ გაიმარჯვებს ის, ვისაც მეტი სატურნირო პრაქტიკა და გამოცდილება აქვს.

პ. კერესი

სსრ კავშირის გროსმაისტერი

* * *

მეთერთმეტე ტური

მეთერთმეტე ტურის უმეტესი პარტიების ბედი მალე გადაწყდა.

ნერსესოვმა, რომელიც გროსმაისტერ კერესს ეთამაშებოდა, ნაადრევად დაიწყო თამაში ლაზერის ფრთაზე და დაკარგა როკი. კერესმა ზუსტი სვლებით შეჰქმნა ფიგურის მოგების მუქარა და ნერსესოვი დანებდა.

მიკენასმა მოუგო ფალავანდიშვილს, ბლაგიძე არუთინოვს. ებრალიძემ დებიუტით უპირატესობა მიიღო გიორგაძის წინააღმდეგ, სუეტთესოდ გამოიყენა საკუთარი ფიგურების აქტიური განლაგება, მოიგო პაიკი და შემდეგ პარტიაც.

რამდენადმე უკეთეს მდგომარეობაში ცინცაძე უშვებს მძიმე შეცდომას, აგებს ტურს კუში და ლაზერს ერთ პაიკში და ხანმოკლე წინააღმდეგობის შემდეგ ნებდება აგმალიანს. ძლიერად ჩაატარა თავისი პარტია პეტროსიანმა, რომელმაც მოუგო ვეიზერს. რთული და დაძაბული თამაშის შემდეგ სერედა-შიშოვის პარტია ყაიმით დასრულდა.

ქარსელაძე-გაჩეჩილაძისა და სოროკინ-ფირცხალავას პარტიები გადაიდო.

მეთორმეტე ტური

მეთორმეტე ტურში, რომელიც გუშინ გათამაშდა, მხოლოდ ხუთი პარტია დასრულდა.

გიორგაძემ და ნერსესოვმა სხვადასხვა ჰხარკს გააკეთეს როკი. ორივე შეუდგა ჰეფის პოზიციებზე იერიშით მიტანას. საკმარისი გახდა ნერსესოვის ერთი შეცდომა და გიორგაძის იერიში გამარჯვებით დაგვირგვინდა.

გაჩეჩილაძე დამარცხდა გროსმაისტერ კერესთან.

ქარსელაძემ წაიგო ფალავანდიშვილთან. მორიგი გამარჯვება მოიპოვა პეტროსიანმა, რომელმაც მოუგო აგმალიანს. ცინცაძემ წაიგო ოსტატ მიკენასთან.

ვეიზერ-არუთინოვის პარტია გადაიდო საყაიმო მდგომარეობაში. გადაიდო აგრეთვე ზაგორიანსკი-ებრალიძის პარტია. პირველს რამდენადმე უფრო თავისუფალი პოზიცია აქვს. სოროკინს გადადებულ პარტიაში ზედმეტი პაიკი აქვს მალაშხიასთან.

ფირცხალავა-შიშოვის და ბლაგიძე-სერედას პარტიები გადადებულია გამოურკვეველ მდგომარეობაში.

დღეს, 28 მარტს, დაძთავრდება გადადებული პარტიები.



ახალი თბილისი. მარის ქუჩა

ფოტო რ. აკოფოვისა

ЗАРЯ ВОСТОКА

Орган ЦК КП(б) Грузии, Верховного Совета Грузинской ССР и Тбилисского городского комитета КП(б) Грузии

ВЕЛИКИЙ ПОЛКОВОДЕЦ И ГЕНИАЛЬНЫЙ ОРГАНИЗАТОР ВООРУЖЕННОЙ ПОБЕДЫ НАД ГЕРМАНСКИМ ФАШИЗМОМ

15 ЛЕТ СО ДНЯ КОНСТИТУЦИИ СССР

БОГУМЕБОЛОВ, 15 июня. (Нашкорр). Сегодня в Богумеболовском районе состоялся торжественный вечер, посвященный 15-летию Конституции СССР. Вечер открыл председатель районного комитета КП(б) Грузии тов. Гогоберидзе. С докладом о Конституции СССР выступил председатель районного исполнительного комитета депутатов трудящихся тов. Гоголадзе.

— Конституция СССР, — сказал докладчик, — это самый демократический закон в мире. Ни в одной стране мира нет такой свободы, такого равноправия, какое имеют у нас граждане СССР. Наша Конституция — это закон нашей жизни, закон нашего счастья.

Докладчик подробно остановился на основных положениях Конституции СССР, на тех великих завоеваниях, которые дала Конституция советскому народу.

— Вождь народов товарищ Сталин, — говорил тов. Гоголадзе, — неоднократно указывал, что Конституция СССР является законом прямого действия. Это значит, что каждый гражданин нашей страны может обратиться в суд, если его права будут нарушены. Наша Конституция гарантирует каждому гражданину право на труд, на отдых, на образование, на материальное обеспечение в старости, а также в случае болезни или потери трудоспособности.

Докладчик подробно рассказал о том, как осуществляются эти права в нашей стране.

Затем выступили председатель районного комитета профсоюза работников просвещения тов. Гогоберидзе, председатель районного комитета профсоюза работников здравоохранения тов. Гоголадзе, председатель районного комитета профсоюза работников сельского хозяйства тов. Гогоберидзе, председатель районного комитета профсоюза работников торговли тов. Гоголадзе, председатель районного комитета профсоюза работников промышленности тов. Гогоберидзе, председатель районного комитета профсоюза работников культуры тов. Гоголадзе, председатель районного комитета профсоюза работников финансовых учреждений тов. Гогоберидзе, председатель районного комитета профсоюза работников государственных учреждений тов. Гоголадзе, председатель районного комитета профсоюза работников связи тов. Гогоберидзе, председатель районного комитета профсоюза работников коммунального хозяйства тов. Гоголадзе, председатель районного комитета профсоюза работников лесного хозяйства тов. Гогоберидзе, председатель районного комитета профсоюза работников геологических учреждений тов. Гоголадзе, председатель районного комитета профсоюза работников строительства тов. Гогоберидзе, председатель районного комитета профсоюза работников транспорта тов. Гоголадзе, председатель районного комитета профсоюза работников автомобильного транспорта тов. Гогоберидзе, председатель районного комитета профсоюза работников речного транспорта тов. Гоголадзе, председатель районного комитета профсоюза работников морского транспорта тов. Гогоберидзе, председатель районного комитета профсоюза работников воздушного транспорта тов. Гоголадзе, председатель районного комитета профсоюза работников почтово-телеграфной связи тов. Гогоберидзе, председатель районного комитета профсоюза работников радиовещания тов. Гоголадзе, председатель районного комитета профсоюза работников кинематографии тов. Гогоберидзе, председатель районного комитета профсоюза работников цирка тов. Гоголадзе, председатель районного комитета профсоюза работников эстрады тов. Гогоберидзе, председатель районного комитета профсоюза работников музыкальных учреждений тов. Гоголадзе, председатель районного комитета профсоюза работников изобразительных искусств тов. Гогоберидзе, председатель районного комитета профсоюза работников архитектуры тов. Гоголадзе, председатель районного комитета профсоюза работников скульптуры тов. Гогоберидзе, председатель районного комитета профсоюза работников живописи тов. Гоголадзе, председатель районного комитета профсоюза работников графики тов. Гогоберидзе, председатель районного комитета профсоюза работников прикладного искусства тов. Гоголадзе, председатель районного комитета профсоюза работников декоративного искусства тов. Гогоберидзе, председатель районного комитета профсоюза работников народного творчества тов. Гоголадзе, председатель районного комитета профсоюза работников самодеятельного искусства тов. Гогоберидзе, председатель районного комитета профсоюза работников художественной самодеятельности тов. Гоголадзе, председатель районного комитета профсоюза работников клубов тов. Гогоберидзе, председатель районного комитета профсоюза работников домов культуры тов. Гоголадзе, председатель районного комитета профсоюза работников дворцов культуры тов. Гогоберидзе, председатель районного комитета профсоюза работников дворцов пионеров тов. Гоголадзе, председатель районного комитета профсоюза работников дворцов школьников тов. Гогоберидзе, председатель районного комитета профсоюза работников дворцов молодежи тов. Гоголадзе, председатель районного комитета профсоюза работников дворцов студентов тов. Гогоберидзе, председатель районного комитета профсоюза работников дворцов аспирантов тов. Гоголадзе, председатель районного комитета профсоюза работников дворцов докторантов тов. Гогоберидзе, председатель районного комитета профсоюза работников дворцов профессоров тов. Гоголадзе, председатель районного комитета профсоюза работников дворцов академиков тов. Гогоберидзе, председатель районного комитета профсоюза работников дворцов членов-корреспондентов тов. Гоголадзе, председатель районного комитета профсоюза работников дворцов действительных членов тов. Гогоберидзе, председатель районного комитета профсоюза работников дворцов почетных членов тов. Гоголадзе, председатель районного комитета профсоюза работников дворцов заслуженных деятелей тов. Гогоберидзе, председатель районного комитета профсоюза работников дворцов народных артистов тов. Гоголадзе, председатель районного комитета профсоюза работников дворцов заслуженных артистов тов. Гогоберидзе, председатель районного комитета профсоюза работников дворцов народных художников тов. Гоголадзе, председатель районного комитета профсоюза работников дворцов заслуженных художников тов. Гогоберидзе, председатель районного комитета профсоюза работников дворцов народных архитекторов тов. Гоголадзе, председатель районного комитета профсоюза работников дворцов заслуженных архитекторов тов. Гогоберидзе, председатель районного комитета профсоюза работников дворцов народных скульпторов тов. Гоголадзе, председатель районного комитета профсоюза работников дворцов заслуженных скульпторов тов. Гогоберидзе, председатель районного комитета профсоюза работников дворцов народных живописцев тов. Гоголадзе, председатель районного комитета профсоюза работников дворцов заслуженных живописцев тов. Гогоберидзе, председатель районного комитета профсоюза работников дворцов народных графиков тов. Гоголадзе, председатель районного комитета профсоюза работников дворцов заслуженных графиков тов. Гогоберидзе, председатель районного комитета профсоюза работников дворцов народных прикладников тов. Гоголадзе, председатель районного комитета профсоюза работников дворцов заслуженных прикладников тов. Гогоберидзе, председатель районного комитета профсоюза работников дворцов народных декораторов тов. Гоголадзе, председатель районного комитета профсоюза работников дворцов заслуженных декора